ISSN 1512-1801

მუსლიმი მესხები საქართველოში, სოციალური, ეთნიკური და ადგილის იდენტობა

ეკატერინე ფირცხალავა, ინა ბუროვა

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, დოქტორანტი

ანოტაცია

ინდივიდის ცხოვრების მანძილზე იდენტობის ფორმირება უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესია. საცხოვრებელი გარემოს ცვლილების დროს იცვლება - ადამიანების ეთნიკური, ეროვნული, კულტურული იდენტობები. ეს ცვალებადობა სახვადასხვანაირად აისახება ადმიანების ცხოვრებაზე, იდენტობის ცნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იძულებითი გადაადგილების შემთხვევათა კვლევისას, ზოგჯერ იდენტობაზე ადგილის ცვალებადობაც ახდენს გავლენას. ადგილები, სადაც ადამიანები ცხოვრობენ განსხვავებულ მნიშვნელობას იძენენ და განსხვავებულ მოგონებებსა და გრძნობებს აღძრავენ გასნაკუთრებით ადგილის ცვლილების დროს. კვლევის მონაწილეები არიან მეოცე საუკუნეში მეორე მსოფლიო ომის დროს სტალინის გრძანებით სამხრეთ–დასავლეთ საქართველოდან დეპორტიებული მუსლიმი მესხების ნაწილი, რომლებიც რეპატრირებული არიან და ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. სტატიაში წარმოდგენილია მონაცემები კვლევიდან, რომელიც საქართველოში მცხოვრები, რეპატრირებული მუსლიმი მესხების ცხოვრების ცალკეული ასპექტების შესწავლას ეხება. რაოდენობრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გაანალიზებულია მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორია საქართველოში მცხოვრები მუსლიმი მესხების ეთნიკური და სამოქალაქო, სოციალური და ადგილის იდენტობა.

საკვანძო სიტყვები: *ეთნიკური იდენტობა, მუსლიმი მესხები, სამოქალქო იდენტობა, ადგილის იდენტობა, აჰიცხა თურქები.*

შესავალი

მეორე მსოფლიო ომის დროს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან მუსლიმი მუსლიმი მესხები დეპორტაციის შედეგად გაფანტულები ცხოვრობდნენ ყოფილი საბჭოთა კაშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში, სხვადასხვანაირად მოერგნენ არსებულ სოციალურ გარემოს, როგორც მიგრაციის მკვლევარები ამბობენ ახალი სოციალური გარემო გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრების სტილზე და მათ იდენტობაზე, რომ ადამიანებისთვის ახალ გარემოში ცხოვრებისას ინტეგრაცია საუკეთესო გზაა (*Berry, 1997).* გამოიყოფა (Sam., Berry (2006); Berry (2001); Sammut (2010); Padilla(2004) რიგი ფაქტორების, რომელიც ხელს უწყობს ინტეგრაციის პროცესს, მაგალითად ემიგრანტის ინდივიდუალური უნარ-ჩვევები, ახალი ენისა და კულტურის შესწავლის სურვილი, ახალ გარემოში ადაპტაცია-ინტეგრაციის პროცესი გავლენას ახდენს ადამიანების იდენტობზე. ინდივიდის ცხოვრების მანძილზე

ISSN 1512-1801

იდენტობის ფორმირება უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესია. ადამიანს შეიძლება რამდენიმე იდენტობა ჰქონდეს, რადგან სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებული ჯგუფის წევრად მოიაზროს თავი. ინდივიდის იდენტობის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს სოციალური გარემო, ის, თუ როგორ აღიქმება იგი სხვების მიერ და რა ადგილი უკავია პირველად თუ მეორად ჯგუფებში და/ან ორგანიზაციებში. იდენტობის პროცესის შესწავლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ შემთხვევაში, როცა ადამიანები იცვლიან საცხოვრებელ გარემოს, როგორ იცვლება - და იცვლება თუ არა - მათი ეთნიკური, ეროვნული, კულტურული და ადგილის იდენტობები მიგრაციის შედეგად, ასევე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ადამიანის სოციალური იდენტობა, ახალ გარემოში როგორია მისი სამოქალაქო თვითშეგნება და დამოკიდებულებები ადგილობრივ საზოგადოებასთან.

სტატიაში წარმოდგენილია მონაცემები კვლევიდან, რომელიც საქართველოში მცხოვრები, რეპატრირებული მუსლიმი მესხების ცხოვრების ცალკეული ასპექტების შესწავლას ეხება.

კვლევის მიზანია ვაჩვენოთ რა შეიცვალა მუსლიმი მესხების ცხოვრებაში ბოლო წლების განმავლობაში მათი ადაპტაცია-ინტეგრაციის თვალსაზრისით, მოცემულ სტატიაში გაანალიზებულია მონაცემები იმის შესახებ თუ როგორია საქართველოში მცხოვრები მუსლიმი მესხების ეთნიკური და სამოქალაქო სოციალურ იდენტობა.

1.1 ზოგადი ინფორმაცია მუსლიმი მესხების შესახებ

მეორე მსოფლიო ომის დროს, 1944 წლის 15 ნოემბერს სტალინის პოლიტიკის გავლენით, მოხდა მესხეთ-ჯავახეთიდან უმრავლესად თურქულად მოლაპარაკე მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაცია შუა აზიის ქვეყნებში. დეპორტირებული მუსლიმი მესხების უმრავლესობა, რომლებიც არაქართულ სამეცნიერო წყაროებში ხშირად მოიხსენიება, როგორც „თურქი მესხები“ ქართული ისტორიული წყაროების თანახმად, ეთნიკური ქართველია, რომლებიც თითქმის სამი(VI-VIII სს) საუკუნის განმავლობაში, ოტომანთა იმპერიის მიერ დაპყრობილ სამცხე- ჯავახეთში, მათი ბატონობის ქვეშ ცხოვრობდნენ, რაც აისახა მათ ყოფაზე, სარწმუნეობაზე და ენაზე(Sumbadze, 2007; Maglakelidze, 1994; Nozadze, 1989).

დეპორტაციაში ხანგრძლივად მცხოვრებ მუსლიმ მესხებს სხვადასხვა დროს ჰქონდათ საქართველოში რეპატრიაციის მცდელობები. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში რეპარტიაციის პირველი ტალღის დროს ისინი ჩასახლდნენ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში. რეპატრიანტთა ნაწილი დარჩა სამშობლოში და უკვე 40 წელზე მეტია ცხოვრობს სამტრედიის და ოზურგეთის რაიონის სოფლებში, ნაწილი თბილისში. მცირე ნაწილი უკან დაბრუნდა.

1999 წელს ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულების, დეპორტირებული მოსახლეობის სამშობლოში დაბრუნების შესრულება საქართველოში რეპარტიაციის კანონზე მუშაობით დაიწყო. 2007 წლის 11 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი (№ 5261) "ყოფილი სსრკ-ის მიერ XX-ე საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ" რომელიც მოქმედებაში შევიდა 2012 წელს.

კანონის მიღების შემდეგ მუსლიმი მესხების ნაწილი არ დაელოდა კანონის ძალაში შესვლას. თვითდინებით ჩამოვიდა საქართველოში და დასახლდა სამტრედიასა და ახალციხეში. კანონის ძალაში შესვლის შემდეგ ჩამოსული რეპატრიანტის სტატუსის მქონე მუსლიმი მესხები კი ცხოვრობენ ახალციხის მუნიციპალიტეტში.

ISSN 1512-1801

მუსლიმი მესხების საზოგადოება არის ტრადიციული და დახურული საზოგადოება, რომელშიც ინდივიდების ქცევა განსაზღვრულია ამ საზოგადოებისთვის ისტორიულად მოცემული მოდელებით, რომლისთვისაც დამახასიათებელია სტაბილური სოციალური ქცევის წესები, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ასეთ საზოგადოებაში ცვლილება ნელა მიმდინარეობს, ხოლო თვით საზოგადოებისათვის დამახასიათებელია მექანიკური სოლიდარობა.

მუსლიმი მესხების ოჯახში ტრადიციული მამაკაცური და ქალური როლები განსაზღვრულია გენდერული ნიშნის მიხედვით. ეს კოლექტივისტური კულტურის წარმომადგენლობით და მათი რელიგიით არის განპირობებული. მათთვის დამახასიათებლია გაფართოებულ ოჯახებად ცხოვრებაც, ოჯახების შექმნისას ჰომოგამია, მშობლების როლი მნიშვნელოვანია ოჯახის შექმნის პროცესში. ძირითადად მონოგამიური ოჯახები აქვთ, ასევე უნდა აღინიშნოს გენდერული სეგრეგაცია განათლებაში. არსებულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ მუსლიმი მესხების ასიმილაცია არ მომხდარა წლების განმავლობაში არსად, არც ერთ ადგილსამყოფელ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, სადაც ისინი გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ცხოვრობენ (Sumbadze, 2007). მუსლიმი მესხების კომპაქტურად ჩასახლების გამო მათი ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციის პროცესი საქართველოში პრობლემურ საკითხი იყო. მათ ეთნიკურ იდენტობასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები, წლების განმავლობაში ისინი სამეცნიერო წყაროებში მოიხსენიებიან როგორც თურქი მესხები, ქართულ ისტორიულ წყაროებში ისინი მაჰმადიანი ქართველები არიან, ხოლო თვითონ მუსლიმი მესხების ჯგუფი ორ ნაწილად შეიძლება განვიხილოთ, ნაწილი ქართული ორიენტაციის, რომელიც ისტორიულად ქართულ წარმოშობას აღიარებს, და არის მეორე ნაწილი, რომელიც ამბობს რომ ისინი არიან თურქები, მაგრამ არა თურქეთიდან არამედ ახალციხიდან, და ბოლო ათწლეულები საკუთარ თავს აიდენტიფიცირებს, როგორც აჰიცხა თურქს. რაოდენობრივ კვლევაში ეს საკითხი გათვალისწინებულ იქნა და სხვადასხვა ინსტრუმენტის საშუალებით, ნაცადია, საქართველოში მცხოვრები მუსლიმი მესხების ეთნიკური იდენტობის სუბიექტური აღქმების შესაბამისი სურათის დადგენა.

1.2 ზოგადი მონაცემები საქართველოში მცხოვრები მუსლიმი მესხების შესახებ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, ოფიციალური მონაცემები საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მუსლიმი მესხების რაოდენობის შესახებ ცალკე არ აქვს, ხოლო იმ მონაცემების მიხედვით, რომელიც გვაქვს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტიდან არის ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს დაახლობით 125 ოჯახი, აქედან თბილისში დაახლოებით 10, ახალციხის რაიონში 60, სამტრედიაში 36, ოზურგეთში 24, გორის რაიონში 4 ოჯახი. 2012 წლის შემდეგ ჩამოვიდა 16 ოჯახი და 67 პიროვნება ცალკე.

2. თეორიული მიმოხილვა

სხვადასხვა სოციალური, ეთნიკური თუ კულტურული ჯგუფის წევრობა გავლენას ახდენს საკუთარი თავის შესახებ განსხვავებული შეხედულებების ჩამოყალიბებაზე. იდენტობის ცნება სწორედ სელფ-კონცეპტის შესაქმნელად გამოიყენება. იდენტობა პიროვნების მნიშვნელოვანი კონსტრუქტია, ის სხვადასხვა ასპექტს მოიცავს,

ISSN 1512-1801

ადამიანები მნიშვნელოვან ღირებულებას ანიჭებენ ეთნიკურ იდენტობას. ეთნიკური იდენტობა განიხილება, როგორც მრავალი კომპონენტისგან შემდგარ კონსტრუქტი, რომელიც მოიცავს ეთნიკური იდენტობის ძიებას, მიღებას და განმტკიცებას(Umaña-Taylor, 2011; Phinney, 1096). **ეთნიკური იდენტობა** ინდივიდის მიერ თავის მიკუთვნებაა რომელიმე კონკრეტული ეთნიკური ჯგუფისადმი, მიკუთვნების პროცესი აღიარებული უნდა იყოს „სხვების" მიერ - როგორც მისი საკუთარი, ასევე „სხვა" ჯგუფის წევრების მიერ. ეთნიკური მიკუთვნება, თანდაყოლილ მახასიათებლად ითვლება, მაგრამ დღეს ინდივიდებს აქვთ საშუალება, თვითონ გადაწყვიტონ, რომელ ეთნიკურ ჯგუფს მიაკუთვნონ თავი. ეთნიკური იდენტობის წარმოშობის საფუძვლებად ორი მიდგომა განიხილება. პრიმორდიალისტური მიდგომის მიხედვით(Isajiw,1993; Smith, 2000). ეთნიკური იდენტობა თანდაყოლილი და წინასწარ განსაზღვრულია. ეთნიკურობა დაბადებიდან გვეძლევა, მყარია და პერმანენტული და მეორე კონსტრუქტივისტული მიდგომის მიხედვით, ეთნიკური იდენტობა არჩევანია - რას დაეყრდნობა, რა შინაარსი ექნება და რა ფორმას მიიღებს ის, ინდივიდის თავისუფალი ნებაა. მისი საყრდენი შეიძლება იყოს ენა, რელიგია, კულტურა, რასა, ისტორია თუ ტერიტორია (Simmel, 2011; Barth, 1969).

ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბებაზე მრავალი ფსიქო-სოციალური ფაქტორი ახდენს გავლენას - პირველ რიგში, ინდივიდის უნივერსალური სურვილი, დაიმკვიდროს პოზიტიური სოციალური იდენტობა.

სოციალური იდენტობა წარმოადგენს ინდივიდის სელფ-კონცეპტის ნაწილს, რომელიც ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წევრობიდან (Turner, Penny, 1986) მოდის. ჯგუფთაშორისი ქცევის სპეციფიკა სოციალური იდენტობის თეორიაში (Tajfel, Turner, 1970) სწორედ სოციალური იდენტობის ცნებით იხსნება. ინდივიდი ეთნიკურ იდენტობას იღებს მაშინ, როდესაც აცნობიერებს, რას ნიშნავს მისთვის საკუთარი ეთნიკური ჯგუფი და აღიარებს, რომ ეს ჯგუფი მნიშვნელოვან და პოზიტიურ როლს ასრულებს მის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მიგრაციის პროცესში უცხო ქვეყანაში ჩასვლისთანავე, უფრო მეტად იკვეთება ეთნიკური წარმომავლობა და მისი მნიშვნელობა კულტურული განსხვავებულობების აღქმის შემდეგ. ეთნიკური იდენტობის ცვალებადობა აკულტურაციისა და ასიმილაციის შედეგად, მიმღებ ქვეყნებში შესაძლებელია შეიცვალოს. სოციალური კონტექსტიდან გამომდინარე, ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებამ შესაძლებელია დადებითადაც იმოქმედოს მიგრანტზე და უარყოფითადაც.

არსებობს იდენტობის კიდევ ერთი ფორმა, ადგილის იდენტობა. სოციალური ფსიქოლოგიის პერსპექტივიდან, ადგილი ქმნის კულტურისა და ტრადიციების ჩარჩოს, სადაც იდენტობა კონსტრუირდება, ნარჩუნდება და ტრანსფორმირდება (Cuba, Lee, & Hummon, 1993b). სოციალური და გარემოს ფსიქოლოგები - ჰაროლ პროშანსკი, ებბი ფაბიანი და რობერტ კამინოფი((Proshansky, Fabian,& Kaminoff, 1983) ამტკიცებდნენ, რომ ადგილის იდენტობა ინდივიდის თვითიდენტიფიკაციის ნაწილია, რომელიც ყალიბდება ფიზიკურ სივრცეებთან ყოველდღიური ურთიერთქმდების გამოცდილებით (Proshansky, 1978). ადგილები, სადაც ადამიანები ცხოვრობენ - ან ცხოვრობდნენ - განსხვავებულ მნიშვნელობას იძენენ და განსხვავებულ მოგონებებსა და გრძნობებს აღძრავენ. ამ თვალსაზრისით, სახლი ადამიანისათვის, ჩვეულებრივ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილია და მისი შეცვლა იწვევს ინდივიდის თვითიდენტიფიკაციის ცვლილებებსაც. ერთი გეოგრაფიული ადგილიდან მეორეზე გადაადგილებამ ადამიანის ფსიქიკაზე შეიძლება ისეთივე უარყოფითი გავლენა

ISSN 1512-1801

იქონიოს, როგორც საცხოვრებელი ადგილისა და სამშობლოს დაკარგვამ, ანდა ახლობლის, მეგობრის, ნათესავის ან ოჯახის წევრის სიკვდილმა(Fried,1963). ამრიგად, ადგილის იდენტობის ცნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იძულებითი გადაადგილების შემთხვევათა კვლევისას, რადგან სწორედ მისი მეშვეობით ვიგებთ, რამდენად ტრავმული შეიძლება იყოს ამგვარი გადაადგილება ინდივიდის ფსიქიკისთვის.

სოციალური ურთიერთობისას ადამიანები ავტომატურად ახდენენ პიროვნების რაიმე კატეგორიისთვის მიკუთვნებას და მისი შესაფერისი ატრიბუტების განსაზღვრას და იქმნება მისი „სოციალურ იდენტობა“. სოციალური იდენტობის ერთ-ერთი სახეა სამოქალაქო იდენტობა, რომლის ჩამოყალიბებაც სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებაზეა დამოკიდებული.

იდენტობის ეს სახეები მნიშვნელოვანია ნებისმიერ ქყვენაში მცხოვრები ადამიანებისთვის. მუსლიმი მესხების საზოგადოება ამ მხრივ საინტერესო საზოგადოებაა. ეთნიკური იდენტობის თვალსაზრისით მათი იდენტობა- მრავალფეროვანი იდენტიფიკაციის ვერბალიზაციას წარმოადგენს, როგორც მათი მხრიდან, ასევე სხვა ჯგუფების მხრიდანაც. სხვადასხვა ჯგუფებში ისინი დასახელებულნი არიან თურქ მესხებად, თურქებად, ქართველებად და აჰიცხა თურქებად.

მოცემული სტატია ეხება საქართველოში მცხოვრები მუსლიმი მესხების ინტეგრაციის შესწავლას მუსლიმი მესხების სუბიექტურ აღქმაზე დაყრდნობით; კვლევა შეეცადა პასუხი გაეცა შემდეგი კითხვებისთვის: როგორია საქართველოში მცხოვრები მუსლიმი მესხების ეთნიკური და სამოქალაქო სოციალურ იდენტობა.

სტატიაში წარმოდგენილია „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფის მიერ კვლევითი პროექტის, „მუსლიმი მესხების ადაპტაცია - ინტეგრაცის პროცესის დინამიკისა და სამოქალაქო სოციალური იდენტობის შესწავლა“, ფარგლებში ჩატარებული კვლევის მონაცემების ანალიზის ნაწილი.

3. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულ იქნა კვლევის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები: თვისებრივი კვლევის მეთოდიდან გამოყენებულია სიღრმისეული ინტერვიუ; რაოდენობრივი მეთოდებიდან კი ანკეტირება, შემუშავდა პირისპირ გამოკითხვისთვის კითხვარი, რომელსაც ახლდა პიროვნების საკვლევი ტესტები. სტატიაში წარმოდგენილია რაოდენობივი კვლევის მონაცმთა ანალიზი.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში მცხოვრები დეპორტირებული მუსლიმი მესხები. გამოკითხვა ჩატარდა თითქმის ყველგან, სადაც ისინი ცხოვრებენ: თბილისი, ოზურგეთის რაიონის სოფელ ნასაკირალი, სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთის მე-9 უბანი, ქობულეთის რაიონის სოფელ ცეცხლაური, ახალციხე, ახალციხის რაიონის სოფელ მუგარეთი, აბასთუმანი, ვალე და გორის რაიონის სოფელ წითელუბანი.

პირისპირ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 183 მუსლიმმა მესხმა. აქედან მდედრობითი სქესის 57,4% ხოლო 42,6% მამრობითი სქესის რესპონდენტია.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა არაალბათური შერჩევის მეთოდები - ხელმისწავდომი შერჩევა და თოვლის გუნდა. კვლევა ჩატარდა ეთიკური სტანდარტების დაცვით.

ISSN 1512-1801

მონაცემები დამუშავდა სოციალური მეცნიერებებისთვის არსებული SPSS 20 სტატისტიკური პროგრამის გამოყენებით.

წარმოდგენილ კვლევას აქვს შეზღუდვა. შერჩევა არის მცირე და არ არის შემთხვევითი. მუსლიმი მესხების სახლში და ერთმანეთში სალაპარაკო ენაა თურქულის ანატოლიური დიალექტი, საბჭოთა დროში დაბრუნებული რეპატრიანტებთან ანკეტირება ჩატარდა ქართულ ენაზე, ხოლო თურქულ ენაზე მოპალარეკეებთან პროფესიონალი თარჯიმნის დახმარებით. მკვლევარების ეთნიკური ქართველობა გავლენას ახდენს მუსლიმი მესხების გულახდილობაზე.

4. კვლევის შედეგები და ანალიზი

ადგილმონაცვლე პირების ადაპტაცია - ინტეგრაციის პროცესი დამოკიდებულია იმ სახელმწოფოს ენის ცოდნაზე, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი, სახელმწიფო ენის ცოდნა დამოკიდებულია არა მხოლოდ ამ ენაზე მიღებულ საშუალო განათლებაზე არამედ იმაზეც, თუ ადამიანები სახლში სასაუბროდ რა ენას იყენებენ. მუსლიმი მესხებისთვის სახელმწიფო ენის ცოდნა გარკვეულად პრობლემური საკითხია. კითხვაზე რა ენაზე ლაპარაკობთ ოჯახში? გამოკითხულთა, თითქმის უმრავლესობა ოჯახში საუბრობს თურქულის ანატოლიურ დიალექტზე, როგორც ისინი უწოდებენ მესხურად, მხოლოდ რამდენიმე ოჯახი საუბრობს თავიანთი ოჯახების წევრებთან ქართულად.

ცხრ.N1

რა ენაზე ლაპარაკობთ სახლში

	ამი %
თურქულის ანატოლიურ დიალექტზე (მესხურად)	9,1
ქართულად	,7
თურქულად	,1
რუსულად	,5
სომხურად	5
ჯამი	00

გამომითხულთა 89 პროცენტი საქხლში სალაპარკოდ თუქრულია ანატოლიურ დიალექტს იყენებს. მხოლოდ 9 პროცენტზე ნაკლები ამბობს რომს ახლში საუბროენ ქართულად.სახლში სალაპარაკო ენა ეტნიკური იდენტობის მაჩვენებელიც არის ბევრ კულტურაში, ეთნიკური იდენტობის გასარკვევად, დასმულ კითხვაზე თქვენ თავს მიიჩნევთ: სადაც, ჩამოთვლილი იყო შემდეგი შესაძლო პასუხები - აჰიცხა თურქად, (ახალციხელი თურქი) ქართველად თუ თურქად, კვლევაში მონაწილეთა ნახევარზე მეტი საკუთარ თავს პირველ რიგში მიიჩნევს აჰიცხა თურქად (57,9%). რაც შეეხება სქესის მიხედვით განსხვავებას, მამრობითი სქესის წარმომადგენლების უფრო დიდი

ISSN 1512-1801

ნაწილი მიიჩნევს თავს აჰიცხა თურქად, ვიდრე ქალების და მხოლოდ ერთი მდედრობითი სქესის წარმომადგენელი მიიჩნევს თავს თურქად.
ტერმინი „აჰიცხა“ თურქი ბოლო ათწლეულებში გავრცელებული ფორმაა მათ არ მოსწონთ, როცა მათ თურქ მესხებად მოიხსენიებენ და ნაწილი მათგანი (ძირითადად სხვა ქვეყნებში) ქართველად მოხსენიებასაც არ მიიჩნევს სწორად. ფსიქოლოგიური მექანიზმი შესაძლებელია სწორედ „ადგილის იდენტობას“ უკავშირდებოდეს მიუხედავად იმისა, რომ კვლევის თვისებრივ ნაწილში ისინი ქართველებად მოიხსენიებენ თავს, შესაძლებელია ეს ისევ კვლევის შეზღუდვის, მკვლევარების ეთნიკურობა განაპირობებდა .

ცხრ.N 2				
ეროვნული მიკუთვნებულობა				
	კაცი	ქალი	სიხშირე	ჯამი %
აჰიცხა თურქად	60.3%	56.2%	106	57,9
ქართველად	39.7%	42.9%	76	41,5
თურქად		1.0%	1	0,5
სულ	100%	100%	183	100

იდენტობის მიხედვით (იდენტობის დასახელება) განსხვავებები, განათლების მიხედვით, საშუალო (64%), ტექნიკური (71,4%) და არასრული უმაღლეს (91,7%) დამთავრებული რესპონდენტების შემთხვევაში, უმეტესი ნაწილი თავს მიიჩნევს აჰიცხა თურქად, საბაზო (66,7) და უმაღლესი (70,6%) განათლების მქონე რესპონდენტების უმეტესი ნაწილი თავს მიიჩნევს ქართველად.

ცხრ.N 3							
ეროვნება	განათლება						ჯამი %
	დაწყებითი	საბაზო	საშუალო	ტექნიკური/ პროფესიული	არასრული უმაღლესი/ სტუდენტი	უმაღლესი	
ქართველად	100%	66.7%	36.0%	28.6%	8.3%	70.6%	1.5%
თურქად		3.7%					5%
აჰიცხა თურქად		29.6%	64.0%	71.4%	91.7%	29.4%	7.9%
ჯამი	100%	100%	100%	100%	100%	100%	00%

ISSN 1512-1801

რაც შეეხება განსხვავებებს ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით, ქართველად თავს აღიქვამენ 18 წელს ქვევით (57,1%), 35-44 (52,6%), 65-74 (60%) წლების ინტერვალში მყოფი ადამიანების უმეტესობა. ხოლო დანარჩენი ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენელთა უმრავლესობა საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენენ აჰიცხა თურქთან. რეგიონების მიხედვით მათ გადანაწილების შემთხვევაში, მუსულმანად თავს ყველაზე დიდი ნაწილი მიიჩნევს ახალციხეში მაცხოვრებელი მესხები, მათგან თითქმის ნახევარი (48%) ამბობს, რომ ის უპირველესად თავს მიიჩნევს მუსულმანად, შემდეგ უკვე ოზურგეთისა (13,6%) და აბასთუმნის მაცხოვრებლები (13,6%). რაც შეეხება რესპონდენტების მიერ საქართველოს მოქალაქეობის დასახელებას, მათგან ვინც ამბობდა, რომ ის თავს უპირველესად მიიჩნევს საქართველოს მოქალაქედ და არა მუსულმანად, ¼ ცხოვრებს ოზურგეთში (25%) და მეხუთედზე მეტი (21,2%) სამტრედიაში.

ცხრ.N 4										
ეროვნება	ასაკი									ჯამი %
	18	8-24	5-34	5-44	5-54	5-64	5-74	5-85	5+	
ქართველად	7.1%	5.6%	7.1%	2.6%	3.3%	4.0%	0.0%	2.9%		1.5%
თურქად				.6%						.5%
აჰიცხა თურქად	2.9%	4.4%	2.9%	4.7%	6.7%	6.0%	0.0%	7.1%	00%	7.9%
სულ	00%	00%	00%	00%	00%	00%	00%	00%	00%	00%

სოციალური დისტანცია მნიშვნელოვანი საზომია იმისათვის რომ გაარკვიო ადამიანები რამდენად გახსნილები არიან ეთნიკურად თუ სოციალურად გასნხვავებული სხვების მიმართ. ბოგარდუსის სოციალური დისტანციის საზომი სკალა (Bogardus Social Distance Scale) გამოიყენება რესპონდენტთა სხვადასხვა სიახლოვის სოციალური კონტაქტების მზაობის გასაზომად სხვადასხვა ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილების და რასის წარმომადგენლებთან.

ბოგარდუსის სოციალური დისტანციის სკალაზე, ყველაზე ახლო კონტაქტის სურვილი ფიქსირდება რესპონდენტების მიერ, მათივე ჯგუფის წარმომადგენელთან, მესხთან, მეორე ადგილას არის ქრისტიან ქართველთან ურთიერთობები, შემდეგ აზერბაიჯანელთან, თურქთან და მუსულმან აჭარელთან. ხოლო ყველაზე ნაკლებად ქურთთან და ბოშასთან. ამ შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ რელიგიაზე მეტად გამოკითხულებისთვის ეთნიკურობა განსაზღვრავს მათი კონტაქტის სიახლოვეს. *თუმცა რეალურად შერეული ქორწინება ქრისტიან ქართველებთან ძალიან ცოტაა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ შესაძლოა ისინი არ იყვნენ ბოლომდე გულწრფელნი.*

ISSN 1512-1801

ცხრ.5 სოციალური დისტანცია %

	მესხი	ქართველი	აზერბაიჯანელი	თურქი	აჭარელი	რუსი	სომეხი	ქურთი	ბოშა
მზად ვიქნებოდი ახლობელი, რომ დაქორწინებულიყო	98,3%	40,9%	36,7%	32,6%	32%	12%	9,4%	5,8%	3,3%
მეყოლებოდა ახლო მეგობრად	99,4%	97,8%	88,1%	90,6%	87,8%	77%	64,1%	43,5%	32,6%
მეყოლებოდა კარის მეზობლად	100%	97,8%	92,7%	93,9%	91,7%	87%	87,3%	57,8%	44,2%
ვიმუშავებდი ერთ ორგანიზაციაში	100%	98,3%	93,8%	95%	93,4%	90%	90,1%	77,3%	62,4%
მეყოლებოდა ნაცნობად	100%	98,9%	97,2%	95,6%	93,4%	93%	93,4%	92,2%	74%
დავუშვებდი, როგორც დროებით სტუმარს ჩემს ქვეყანაში	100%	99,4%	100%	97,8%	93,9%	96%	95%	100%	80,1%
არ შემოვუშვებდი ქვეყანაში		0,6%		2,2%	6,1%	4,4%	5%		19,9%

რაც შეეხება განსხვავებებს დემოგრაფიულ ჭრილში, არ აღინიშნება მნიშვნელოვანი განსვლა მიღებულ შედეგებში. სქესისა, ასაკისა და განათლების მიხედვითაც თითქმის იგივე შედეგებს ვხვდებით. ქართველთან ყველაზე მაღალი დონის კონტაქტის ალბათობას აფიქსირებენ 55-64 წლის (64%) და 65-74 (60%) ასაკის რესპონდენტები, ხოლო ყველაზე ნაკლებს 75-85 (0); აზერბაიჯანელთან 65-74 (60%), ყველაზე მცირეს 18 წელს ქვევით მყოფი გამოკითხულები; თურქთან 55-64 (48%), ხოლო ყველაზე ნაკლებს 65-74, 75-84 (0); აჭარელთან 55-64 (64%), ხოლო ყველაზე ნაკლებს 18 წელს ქვევით მყოფი რესპონდენტები (0); რუსთან კონტაქტის ყველაზე ახლო დონის სურვილს გამოხატავენ ძირითადად 55-64 წლის რესპონდენტები (32%), ყველაზე ნაკლებს 18 წელს ქვევით, 65-74,75-84 (0) კვლევაში მონაწილეები; სომეხთან 55-64 (20%), ყველაზე ნაკლებად კი 18 წელს ქვევით, 65-74,75-84 (0) მყოფნი; ქურთთან 55-64 (15%); ხოლო ბოშასთან ახლობლის ქორწინებაზე თანახმა იქნებოდნენ მხოლოდ 35-44 (7,9%), 55-64 (4%) 25-34 (2,9%) და 18-24 (2,6) ასაკის ინტერვალში მყოფი მუსულმანი მესხები.

რაც შეეხება განათლებას, მონაცემების მიხედვით ქართველებთან (ახლობლის) ქორწინებაზე უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების უმრავლესობა (70,6%) იქნებოდა თანახმა; რაც შეეხება ქორწინებას აზერბაიჯანელთან არასრული უმაღლეს დამთავრებულთა თითქმის ნახევარია (50%) თანახმა, ხოლო ყველაზე ნაკლებად უმაღლესი განათლების მქონე (25%); ქორწინება ეროვნებით თურქთან მისაღებია საბაზო განათლების მქონე (59,3%) მუსლიმი მესხისთის, არასრული უმაღლესი განათლების მქონეთათვის ყველაზე ნაკლებად მისაღები აღმოჩნდა (25%); ადგილობრივ მაჰმადიან ქართველებთან, აჭარლებთან ქორწინებაზე თანახმაა საბაზო განათლების (55,6%) და უმაღლესი განათლების მქონე (52,9%) მუსლიმი მესხი; რუსთან და სომეხთან დაწყებითი განათლების მქონე (33,3%); ქურთთან საბაზო განათლების

ISSN 1512-1801

მქონე (59,3%); ხოლო ბოშასთან ახლობლის მიერ ოჯახის შექმნაზე თანახმა იქნებოდნენ მხოლოდ საბაზო (7,4%), საშუალო (3,4%) და ტექნიკური/პროფესიული (3%) განათლების მქონე კვლევაში მონაწილეები.

ცხრილი 5.1. სოციალლური დისტანცია. მონაცმები მოცემულია პროცენტებში (%)

	მესხი		ართველი		ზერბაიჯანელ ი		ურქი		ჭარელი		უსი		ომეხი		ურთი		**ოშა**	
	F																	**M**
მზად ვიქნებოდი ახლობელი , რომ დაქორწინე ბულიყო	8,7	8, 1	3,4	9	2,1	2,7	2,9	2,4	7,6	5,2	1,8	1,4	0,5	,6	7,2	4,7	,3	,9
მეყოლებო და ახლო მეგობრად	00	9	8,7	7,1	9,5	7,1	3,4	8,6	8,2	7,6	4,2	2,4	4,5	3,8	4,9	2,4	4, 2	1,4
მეყოლებო და კარის მეზობლად	00	00	8,7	7,1	3,4	2,1	6,1	2,4	3,4	0,5	3,4	2,9	9,5	5,7	9,4	6,5	6, 1	2,9
ვიმუშავებ დი ერთ ორგანიზაც იაში	00	00	8,7	8,1	3,4	4,1	7,4	3,3	4,7	2,4	4,7	6,7	2,1	8,6	1,2	4,1	8, 4	8,1
მეყოლებო და ნაცნობად	00	00	00	8,1	7,4	7,0	8,7	3,3	4,7	2,4	6,1	0,5	4,7	2,4	4,2	0,6	1, 6	8,6
დავუშვებ დი, როგორც დროებით სტუმარს ჩემს ქვეყანაში	00	00	00	9	00	00	00	6,2	4,7	3,3	6,1	5,2	6,1	4,3	00	00	6, 8	5,2
არ შემოვუშვე ბდი ქვეყანაში								,8	,3	,7	,9	,8	,9	,7			3, 2	4,8

მამაკაც და ქალ მუსლიმ მესხებს შორის ცხოვრების თანამგზავრის პოვნასთან დაკაშირებით დიდად განსხვავებული არ არის, თუმცა უნდა აღინიშნოს, ქართველებთან ქორწინებას კვლევაში მონაწილე ქალები უფრო მისაღებად თვლიან, ამ მხრივ აზერბაიჯანელთან ქორწინების თანხმობაზე საკმაო განსხვავებაა, ქალების უფრო დიდი ნაწილია თანახმა ამ ქორწინებზე ვიდრე მამაკაცები, აჭარელთან ქორწინების სურვილს კი უფრო მეტი მამაკაცი გამოთქვამს, ვიდრე ქალები.

ISSN 1512-1801

ცხრ.5.2. მზად ვინქნებოდი ჩემი ახლობელი დაქორწინებულიყო
მონაცემები მოცემულია პროცენტებში (%)

	ქალი	კაცი	
მესხი	98,7	98,1	მესხი
ქართველი	43,4	39	ქართველი
აზერბაიჯანელი	42,1	32,7	აზერბაიჯანელი
თურქი	32,9	32,4	თურქი
აჭარელი	27,6	35,2	აჭარელი
რუსი	11,8	11,4	რუსი
სომეხი	10,5	8,6	სომეხი

20 მტკიცების ტესტი-(Kuhn)**“ Twenty Statements” Test** – ტესტი გამოყენებულია თვითიდენტობის, ასევე როლების და როლების პრიორიტეტების გამოკვლევისთვის. ამ ტესტის მიხედვით რესპონდენტთა უმრავლესობა პირველ რიგში საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს იმ სოციალურ როლთან, რაც მათ აქვთ, კერძოდ „დედასთან“. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. მეორე ადგილზე არის საკუთარი თავის იდენტიფიცირება მუსულმანობასთან, რაც იმას ნიშნავს ყოველი მესამე რესპონდენტისთვის მათი რელიგიური მრწამსი არის მათი იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი. შემდეგ მოდის ის სოციალური როლი, რომელსაც ისინი ასრულებენ. გამოკითხულთა 9,3% ასახელებს, რომ ის არის ქართველი, 5,5% საქართველოს მოქალაქეს და მხოლოდ 1,1% ამბობს, რომ ის არის ქართველი მესხი. კვლევაში მონაწილეთაგან მხოლოდ ერთმა თქვა, რომ ის არის თურქი მესხი

ნახ.1



ISSN 1512-1801

როგორც მოსალოდნელი იყო 20 მტკიცების ტესტის შევსებისას მნიშვნელობა ენიჭება ჩამონათვალის მიმდევრობას, როგორც საქართველოში ტესტის ადაპტაციამ აჩვენა საკმაოდ ხშირად ადამიანები ასახელებენ შემდეგ კატეგორიებს: პროფესიული იდენტობა, ოჯახური როლი, სტატუსი, სქესი და ასაკი. ჩვენს კვლევაში მონაწილე მულიმი მესხების მიერ დასახელებულ იდენტობებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ოჯახურ როლს, ასევე ხაზგასმულია რელიგია, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში მეორე ადგილს იკავებს, მას უპირატესი როლი აქვს, ვიდრე ეთნიკურ ან სამოქალაქო იდენტობას.

მონაცემთა ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მუსლიმი მესხების იდეტიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია მათი რელიგიური იდენტობა. რასაც ადასტურებს ბოგარდუსის სოციალური დისტანციის სკალით მიღებული მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც, ყველაზე ახლო დისტანციას ისინი თავიანთი სარწმუნოების მქონე ადამიანებთან განიხილავენ, კერძოდ ოჯახს შექმნიდნენ ან ოჯახის წევრების დაქორწინებას მიესალმებოდნენ თუ მეწყვილე იქნებოდა უპირველესად მუსლიმი მესხი, შემდეგ პოზიციაზე დასახელებულია ქართველი, შემდეგ აზერბაიჯანელი, თურქი ან აჭარელი. მეორე პოზიციაზე დასახელებული ქორწინების სასურველობა ქართველებთან ეჭვის საფუძველს აჩენს, რადგანაც ჩვენი აზრით, ნაკლებად ასახავს საქართველოში მცხოვრები მუსლიმი მესხების ადგილობრივ მართლმადიდებელ ქართველებთან ქორწინების რეალობას. ჩვენი ვარაუდით აქ სავარაუდოდ კვლევის შეზღუდვამ იმუშავა.

მუსლიმი მესხების სამოქალაქო, სოციალურ იდენტობა

მუსლიმი მესხების სამოქალაქო სოციალურ იდენტობას, რამდენიმე კითხვის საშუალებით ვსწავლობდით.

პასუხები კითხვაზე რამდენად ამაყობთ იმით, რომ საქართველოს მოქალაქე ხართ შემდგენაირად განაწილდა:

ცხრ 6.რამდენად ამაყობთ იმით, რომ საქართველოს მოქალქე ხართ

	კაცი	ქალი	ჯამი %
ძალიან	80.8%	71.4%	75,4
საკმაოდ	14.1%	21.0%	18,0
ნაწილობრივ	3.8%	1.9%	2,7
სულ არ ვამაყობ		1.0%	,5
პასუხი არ არის	1.3%	4.8%	3,3
ჯამი	100%	100%	100

ISSN 1512-1801

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ადამიანები ამგვარად პასუხობდნენ ამ კითხვაზე, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა დაახლოებით 70-ზე მეტ შემთხვევაში, კვლევაში მონაწილეები არ იყვნენ საქართველოს მოქალაქეები და *<u>რადგან კვლევაში მონაწილეთა ნაწილი არ იყო საქართველოს მოქალაქე; აღნიშნული კითხვა, არ შეიძლება ჩაითვალოს ვალიდურად..</u>* როდესაც აღნიშნულ კითხვას ვუსვამდით არა მოქალაქეს, კითხვის ფორმულირება იყო შემდეგნაირი: *„რამდენად იამაყებდით, რომ იყოთ საქართველოს მოქალაქე?“* აღნიშნულ კითხვაზე ძირითადი პასუხები იყო, რომ ისინი ძალიან ან საკმაოდ იამაყებდნენ ამით, მხოლოდ 1 რესპონდენტი აღნიშნავს, რომ იგი საერთოდ არ ამაყობს/იამაყებდა ამით. სქესის მიხედვით განსხვავება პასუხებს შორის თითქმის არ აღინიშნება, ორივე ქალებიც და კაცებიც იამაყებდნენ იმით, რომ ისინი არიან/იქნებოდნენ საქართველოს მოქალაქეები, ისევე, როგორც ასაკისა და განათლების შემთხვევაში.

სამოქალაქო იდენტობასთან დაკავშირებით, კითხვაზე თქვენ თავს უპირველესად მიიჩნევთ **მუსლიმად თუ საქართველოს მოქალაქედ,** კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა თავს უპირველესად თვლის მუსლიმად და შემდეგ საქართველოს მოქალაქედ. ამგვარი ტენდენცია აღინიშნება კაცებშიც და ქალებშიც, განსხვავება ამ მხრივ არ არის. ამ შემთხვევაშიც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დადგეს მიღებული შედეგების ვალიდობა, რადგან რესპონდენტების უმეტესობა არ იყო საქართველოს მოქალაქე.

ცხრN7. მიკუთვნებულობა

	კაცი	**ქალი**	**ჯამი %**
მუსლიმად	1.8%	65.7%	68,3
საქართველოს მოქალაქედ	6.9%	29.5%	28,4
პასუხი არ არის	.3%	4.8%	3,3
სულ	00%	100%	100

ასევე, მსგავსი გადანაწილება აღინიშნება სხვადასხვა განათლების მქონე ჯგუფების შედარებისასაც, ყოველ შემთხვევაში უმეტესობა მათგანი თავს მიიჩნევს პირველ რიგში მუსლიმად. შედარებით თანაბარი გადანაწილება გვაქვს უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტებთან, სადაც ნახევარზე მცირედით ნაკლები (41,2%) თავს მიიჩნევს ქართველად. მსგავსი პასუხები აღინიშნება ასევე ასაკობრივი ჯგუფების შედარებისასაც, ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა უმრავლესობა ასახელებს მუსულმანურ რელიგიას, როგორც მათი იდენტობის პირველად მახასიათებელს.

ISSN 1512-1801

მიკუთვნებულობა	ცხრ.N8						ჯამი %
	დაწყებითი	საბაზო	საშუალო	ტექნიკური/ პროფესიული	არასრული უმაღლესი/ სტუდენტი	უმაღლესი	
მუსლიმად	66.7%	55.6%	67.4%	77.1%	91.7%	58.8%	68.3%
საქართველოს მოქალაქედ	33.3%	37.0%	30.3%	17.1%	8.3%	41.2%	28.4%
პასუხი არ არის		7.4%	2.2%	5.7%			3.3%
სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%

მუსლიმი მესხებისთვის რელიგიური იდენტობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სოციალური, სამოქალაქო იდენტობა, მხოლოდ უმაღლესი განათლების შემთხვევაში შეინიშნება განსხვავებული ტენდენცია

კითხვაზე: *იმისათვის, რომ იყოს კარგი მოქალაქე, რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანმა შეასრულოს ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობები,* პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

ცხრ. N9	**საშუალო**	**სტანდარტული გადახრა**
კარგი მოქალაქე:იყოს კანონმორჩილი	4.89	.397
კარგი მოქალაქე:დაეხმაროს გაჭირვებულს	4.89	.451
კარგი მოქალაქე:მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში	4.52	.747
კარგი მოქალაქე:თუ გახდა დანაშაულის თვითმხილველი მიმართოს პოლიციას	4.50	.623
კარგი მოქალაქე:გააჩნდეს საკუთარი მოსაზრება	4.50	.658
კარგი მოქალაქე:ომის შემთხვევაში წავიდეს ჯარში	4.19	1.015
კარგი მოქალაქე:აქტიურად იყოს ჩართული მოხალისეობრივ ორგანიზაციებში	3.70	1.291
კარგი მოქალაქე:საჭიროების შემთხვევაში იყოს ნაფიცი მსაჯული	3.56	1.214
კარგი მოქალაქე:აქტიურად იყოს ჩართული პოლიტიკაში	2.82	2.82
N=177		

გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, იმისთვის, რომ იყო კარგი მოქალაქე ყველაზე მნიშვნელოვანია იყო კანონმორჩილი (SD=0.4) და დაეხმარო გაჭირვებულს (SD=0.5), ხოლო ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვნად მათ მიაჩნიათ პოლიტიკაში აქტიურად ჩართულობა (SD=2.9). საერთო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა ცხრილში მოცემული დებულება რესპონდენტებს მიაჩნიათ მნიშვნელოვნად იმისთვის, რომ ისინი იყვნენ კარგი მოქალაქეები, რადგან მათი მაჩვენებელი შესაძლო საშუალო მაჩვენებელზე (2,5) მეტია.

მუსლიმი მესხებისთვის კანონმორჩილება ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებაა, მოქალაქეობის თვალსაზრისით, ეს მათი ცხოვრების წესითაც დასტურება, რადგანაც

ISSN 1512-1801

ძნელად თუ მოიძებნება სტატისტიკური მაჩვენებელი მათ მიერ კანონდარღვევის შესახებ. ეს მნიშვნელოვანი და ძლიერი სამოქალაქო ღირებულებაა.

დასკვნები

ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ

❖ მუსლიმი მესხებისთვის რელიგიური იდენტობა სამოქალოქო იდენტობაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. საქართველოში მცხოვრები მესხების უმრავლესობა თავს უპირველესად თვლის **მუსლიმად,** ხოლო შემდეგ **საქართველოს მოქალაქედ.** სქესს შორის განსხვავება ამ მხრივ არ არის. განსხვავება მხოლოდ უმაღლესი განათლების შემთხვევაში შეინიშნება, უმაღლესი განათლების მქონე მუსლიმი მესხები თავს ჯერ საქართველოს მოქალაქედ მიიჩნევენ, ხოლო შემდეგ მაჰმადიანად.

❖ **მუსლიმ მესხებს** ყველაზე ახლო კონტაქტის სურვილი, სოციალური დისტანციის საზომი სკალის მიხედვით, აქვთ მათივე ჯგუფის წარმომადგენელთან, მაჰმადიან მესხთან, მეორე ადგილას დგას ქრისტიან ქართველთან ურთიერთობები, შემდეგ აზერბაიჯანელთან, თურქთან და მუსულმან აჭარელთან, ხოლო ყველაზე ნაკლებად ქურთთან და ბოშასთან სურთ ურთიერთობა.

❖ მუსლიმი მესხების რელიგიური იდენტობის მნიშვნელოვნება დასტურდება ბოგარდუსის სოციალური დისტანციის სკალიდან მიღებული მონაცემებითაც, რომლის მიხედვითაც, ყველაზე ახლო დისტანციას ისინი თავიანთი სარწმუნოების მქონე ადამიანებთან განიხილავენ, კერძოდ ოჯახს შექმნიდნენ ან ოჯახის წევრების დაქორწინებას მიესალმებოდნენ თუ მეწყვილე იქნებოდა უპირველესად მუსლიმი მესხი, შემდეგ პოზიციაზე დასახელებულია ქართველი, რაც ვთვლით რომ არ ასახავს რეალობას, რადგანაც ქრისტიან ქართველებთან შექმნილი ოჯახების პროცენტული მაჩვენებელი არ ადასტურებს ამ დამოკიდებულებას (ეს სავარაუდოდ კვლევის შეზღუდვამ გამოიწვია), შემდეგ აზერბაიჯანელი, თურქი ან აჭარელი.

❖ მუსლიმი მესხები, ვისთვისაც სამოქალაქო იდენტობა უპირველესია, ვიდრე რელიგიური (ვინც საკუთარ თავს აღიქვამს საქართველოს მოქალაქედ უპირველესად და შემდეგ მუსლიმად) მეტად ინტეგრირებული და ასიმილირებულია ქართულ საზოგადოებაში.

❖ სამოქალოქო იდენტობის მიხედვით მუსლიმი მესხებისთვის კანონმორჩილება ყველაზე მნიშვნელოვანი და ძლიერი სამოქალაქო ღირებულებაა.

❖ ეთნიკური იდენტობის თვალსაზრისით - კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა (ნახევარზე მეტი) საკუთარ თავს პირველ რიგში მიიჩნევს აჰიცხა თურქად. მამაკაცების უფრო დიდი ნაწილი მიიჩნევს თავს აჰიცხა თურქად, ვიდრე ქალების. უმაღლესი განათლების მქონე მუსლიმი მესხები უფრო მიიჩნევენ თავს ქართველებად, ვიდრე სხვები. ხოლო ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით, ქართველად თავს აღიქვამს ახალი თაობა 18 წელს ქვევით, რომელიც საქართველოში დაიბადა, ასევე 65 წლების ზევით ინტერვალში მყოფი ადამიანების უმეტესობა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას მათ იდენტობასთან დაკაშვირებოთ, რომელიც ტერმინ აჰიცხა თურქად ჩამოყალიბდა- ეს იდენტობა სწორედ **„ადგილის იდენტობის“(Place Identity**) ფენომენია, და არა ეთნიკური იდენტობა, რომელიც უმრავლესობა კვლევაში მონაწილეს კარგად არა აქვს გაცნობიერებული. ისინი ამბობენ რომ ახალციხელი „აჰიცხა“ თურქები არიან და არა თურქები თურქეთიდან. როგორც ჰაროლ პროშანსკი, ებბი ფაბიანი და რობერტ კამინოფი (Proshansky, Fabian, Kaminoff, 1983) ამტკიცებდნენ,

ISSN 1512-1801

ადგილის იდენტობა ინდივიდის თვითიდენტიფიკაციის ნაწილია, ადგილები, სადაც ადამიანები ცხოვრობენ განსხვავებულ მნიშვნელობას იძენენ და განსხვავებულ მოგონებებსა და გრძნობებს აღძრავენ. მუსლიმი მესხებისთვის დეპორტაციის გამოცდილებაში საკუთარი თავის იდენტიფიკაცია ადგილთან მიმართებაში მკვიდრდება ბოლო წლებია, მუსლიმი მესხები ერთიანად უარყოფენ თურქი მესხის სახელს და გადადიან აჰიცხა თურქის იდენტიფიკაციაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Berry, J. W. "Immigration, Acculturation, and Adaptation." Applied Psychology 46:1 (1997): 5–34.
2. Sam, D. L., and Berry, J. W. The Cambridge Handbook of Acculturation Psychology. Cambridge University Press, 2006.
3. Berry, J. W. "A Psychology of Immigration." Journal of Social Issues 57, no. 3 (January 1, 2001): 615–31.
4. Sammut G. " The Point of View: Towards a Social Psychology of Relativity" A thesis submitted to the Institute of Social Psychology of the London School of Economics for the degree of Doctor of Philosophy, London, October 2010
5. Padilla B. (Post-doctoral Scholar at CIES/ISCTE and Assistant Professor at UAL) "Integration of Brazilian immigrants in Portuguese Society: Problems and Possibilities" (Draft) Paper delivered at the 9th International Metropolis Conference "Co-operative Migration Management", September 27 – October 1, 2004. Geneva, Switzerland.
6. Nozadze, V. საქართველოს აღდგენისთვის ბრძოლა მესხეტის გამო (The Fight for the Revival of Georgia and the Meskhetian Issue). 1989. Tbilisi: Teatris Mushakta Kavshiti.
7. Maglakelidze, Sh.. ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში (Georgians under the German Flag in the Second Warld War (in Georgian Language). 1994 Tbilisi: Ganatleba.
8. Sumbadze, N. 'Back Home Again: The Repatriation and Integration of Meskhetian Turks in Georgia'. Meskhetian Turks at a Crossroads: Integration, Reparation or Resettlement? Edited by T. Trier and A. Khanzihn, 288-340. 2007.Berlin: Lit Verlag,
9. Pirtskhalava.E The Effect of Life In The U.S on Marriage Process in Muslim Meskhetians Family GESJ: Education Science and Psychology 2014 | No.3(29) (In Georgian)
10. Trier, T., & Khanzhin, A. (Eds.). The Meskhetian Turks at a crossroads: Integration, repatriation or resettlement. 2007.Berlin, Germany: LIT Verlag: Berlin.
11. Sumbadze, N. 'Back Home Again: The Repatriation and Integration of Meskhetian Turks in Georgia'. Meskhetian Turks at a Crossroads: Integration, Reparation or Resettlement? Edited by T. Trier and A. Khanzihn, 288-340. 2007.Berlin: Lit Verlag,
12. Umaña-Taylor, A., Ethnic Identities. In Schwartz, S. J., Luyckx, K., & Vignoles, V. L. (Eds.). Handbook of Identity Theory and Research (2011 edition). (New York: Springer. 2013)
13. Phinney, J. S. When we talk about American ethnic groups, what do we mean? *American Psychologist*, *51*:9 (1996), 918-927.
14. Wsevolod W. I., "Definition and Dimensions of Ethnicity: A Theoretical Framework," 1993, https://tspace.library.utoronto.ca/handle/1807/68.
15. Smith, A. D. National Identity. London: Pengiun, 1991

ISSN 1512-1801

16. Simmel, G., Simmel, G., on Individuality and Social Forms (University of Chicago Press, 2011).
17. Barth, F. Ethnic Groups and Boundaries: The Social Organization of Culture difference. (Results of a Symposium Held at the University of Bergen, 23rd to 26th February 1967).
18. Turner, J.C. & Oakes, P.J. The significance of Social identity concept for social psychology with eference to individualism, interactionism and social influence. British Journal of Psychology, 25, (1986), 237-252
19. Tajfel, H., & Turner, J. C. (1979). "An integrative theory of intergroup conflict". In W. G. Austin & S. Worchel. *The social psychology of intergroup relations*. Monterey, CA: Brooks/Cole. pp. 33–47.
20. Cuba, L., and Hummon, D. M. Constructing a sense of home: Place affiliation and migration across the life-cycle. *Sociological Forum* 8.4 (1993b): 547-572.
21. Proshansky, H., Fabian, A. and Kaminoff, R(1983) "Place-Identity" ob:http://peopleplacespace.org/toc/section-3/
22. Proshansky, H. M. „The City and Self-Identity", Environment and Behavior 10, no. 2 (1978): 147–69.
23. Fried, M. Grieving for a lost home. In L. J. Duhl (Ed.), The urban condition: People and policy in the metropolis (New York: Simon & Schuster, 1963).

ნაშრომში არის 11 ცხრილი და 1 ნახაზი.

Article received 2018-05-22